ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
30.08.2012 N 104
თბილისი

2012 წლის აბიტურიენტთა
რეგისტრაციის ვადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების თანახმად 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბიტურიენტთა რეგისტრაცია (აკადემიური და ადმინისტრაციული), რომლებმაც 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება ბაკალავრიატის და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე, განხორციელდეს 2012 წლის 31 აგვისტოდან 13 სექტემბრის ჩათვლით შესაბამის ფაკულტეტებზე ყოველ დღე კვირის გარდა 10^{00} სთ-დან 16^{00} სთ-მდე;
2. ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) რეგისტრაციის გავლის შემდეგ მოახდინონ აკადემიური ჯგუფების ფორმირება სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის შესაბამისად და წარადგინონ სწავლების დეპარტამენტში არა უგვიანეს 14 სექტემბრისა;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი.ლომიძე);
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი
სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე